# საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/155 " 9 " ივლისი 2019 წ.

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

**თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ი. ზარქუას**
**სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოში მივლინების შესახებ**

„რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილების 38[1] მუხლის შესაბამისად, სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს შემადგენლობა განსაზღვრულია 2 მოსამართლით. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის საფუძველზე აღნიშნული სასამართლოს ერთი მოსამართლე ირინა ზარქუა 2019 წლის 1 ივლისიდან დაინიშნა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ. შესაბამისად, სასამართლოში დარჩა ერთი მოსამართლე, რომლის შვებულებაში გასვლის ან უფლებამოსილების შეჩერების სხვა საფუძვლების არსებობისას სასამართლო დარჩება მოსამართლის გარეშე. აღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოში მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად მივლინებულ იქნეს მოსამართლე.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37[1] მუხლის მოთხოვნის გათვალისწინებით, სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოში მოსამართლის არყოფნის გამო მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელების წინადადებით მიემართა სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოს ყოფილ მოსამართლეს ირინა ზარქუას, რომელიც ტერიტორიულად ყველაზე ახლოს მდებარე თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეა. მიღებულ იქნა ი. ზარქუას თანხმობა მივლინებასთან დაკავშირებით.

ი. ზარქუას სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოში 2019 წლის 30 ივნისის მდგომარეობით წარმოებაში ჰქონდა 5 საქმე, რაც თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებულ მის დატვირთვას მნიშვნელოვნად ვერ შეცვლის და გააუარესებს.

აღნიშნული მივლინება არ იწვევს მოსამართლის სამუშაო ადგილის ცვლილებას, რადგან სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლო განთავსებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37[1] მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ირინა ზარქუა მივლინებულ იქნეს სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოში მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად 2019 წლის 11 ივლისიდან 2020 წლის 10 ივლისამდე.

2. ირინა ზარქუამ იმავდროულად მოსამართლის უფლებამოსილება განახორციელოს თბილისის საქალაქო სასამართლოში.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი